



სსიპ შოთა რუსთაველის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია /Pharmacy
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფარმაციის ბაკალავრი /Bachelor in Pharmacy
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	სრული პროფესორი ლალი კინწურაშვილი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს: მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ბაკალავრები ფარმაციის სპეციალობით, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი თანამედროვე შრომის ბაზარზე. სტუდენტმა მიიღოს საფუძვლიანი, ფართო და გადრეკილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ფარმაციის დარგში სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისთვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის, მოამზადოს პრაქტიკოსი ფარმაცევტი, რომელიც შეძლებს მოიპოვოს თავისთვის საჭირო ინფორმაცია და გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. შეძლოს სამკურნალო საშუალებების დამზადება. ჰქონდეს სამკურნალო საშუალებების ანალიზის უნარი. შეძლოს დასკვნის გამოტანა და შემდგომი რეაგირება. ჩამოუყალიბდეს კვლევის უნარ-ჩვევები. ჩამოუყალიბდეს პროფესიული და პიროვნული ღირებულებები. საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვანი ამოცანაა პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლებათ ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო - პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია და მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური ხარისხიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საშუალებებით. დაიცვას ეთიკის ნორმები. გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ფარმაცევტულ საწარმოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, ავთიაქებ</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ალიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>
<p>სწავლის შედეგები</p> <p>(ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება შეისწავლოს ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის საფუძვლები; მედიკო-ბიოლოგიური დისციპლინები: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, პათოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ბიოქიმია, ჰიგიენა, ფარმაცოლოგია, ფარმაკოკინეტიკა, კლინიკური ფარმაცია, ფარმაცოთერაპია, პროფილური დისციპლინები: ფარმაცევტული ქიმია, ფარმაცოგნოზია, წამალთა ფორმების ტექნოლოგია. ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა. შეიძინოს ცოდნა საფთვად საქმის, ფარმაცევტული წარმოების, ფარმაცევტული მენეჯმენტის განხრით. ექნება ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა, იცის მომხმარებლისათვის ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენა, (დოზირება, გამოყენება, უსაფრთხოება, წამალთფორმები და ა.შ.) აქვს ცოდნა ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების რაციონალური შერჩევის შესახებ. იცის სპეცკონტროლის დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალო საშუალებების აღრიცხვა და გაცემა. ძირითადი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური კანონზომიერებების შესაბამის პროცესებსა და მოვლენებზე ნორმაში და პათოლოგიის დროს ცოდნა. მომხმარებლის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება. წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის შეფასება. აქვს ფართო ცოდნა ზოგად, არაორგანულ, ორგანულ, ანალიზურ, ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმიაში.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ფლობს ნედლეულის, სუბსტანციის და სამკურნალო - პროფილაქტიკური საშუალებების დამზადების უნარს. აქვს სამკურნალო ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, მზა წამლის ფორმების შენახვის პირობების უზრუნველყოფის და დაცვის უნარი. ეფექტური, უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით მომხმარებლის უზრუნველყოფის უნარი. რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემის, დოზირების, დანიშნულების მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უნარი. ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო</p>

	<p>საშუალებების რაციონალური შერჩევის უნარი.</p> <p>სპეცკონტროლს დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალო საშუალებების ადრეცხვისა და გაცემის უნარი. წამლის შენახვის, წამლის მზა ფორმების შეფუთვა-გაფორმების და რეალიზაციის უნარი. წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის შეფასების უნარი. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარების და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p> <p>აფთიაქებში, ლაბორატორიებსა და ფარმაცევტულ საამქროებში მუშაობის წესების ცოდნა და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის უნარი პრაქტიკული უნარ-ჩვევები (სამკურნალო საშუალებების მომზადება, სამკურნალო საშუალებების ანალიზი).</p> <p>გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევის უნარი (ფარმაციის ბაკალავრის საბაზისო ცოდნიდან გამომდინარე). რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემა და დოზირების დანიშნულების, მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება</p> <p>დასკვნის უნარი</p> <p>შეუთავსებადი ან არასწორად გამოწერილი რეცეპტების შემთხვევაში ექიმთან ურთიერთობის და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.</p> <p>გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი, შეუძლია ახალი მონაცემების ანალიზი მეცნიერული ცოდნის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. შეუძლია პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტულ სიტუაციაში.</p> <p>შეუთავსებადი ან არასწორი დოზირებით გამოწერილი რეცეპტის შემთხვევაში ექიმთან ურთიერთობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი</p> <p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>დაამყაროს კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა. შეუძლია ინგლისურ ენაზე წერილობითი სახით თავისი აზრების მკაფიოდ ჩამოყალიბება.</p> <p>ჰქონდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში გამოყენების უნარი</p> <p>ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი</p> <p>ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეფექტურად კომუნიკაციის უნარი</p> <p>სწავლის უნარი</p> <p>შეუძლია თვითშეფასება, იცის როგორ გაუმჯობესოს პროფესიული ცოდნა.</p> <p>სამუშაო გეგმის შედგენა, პირადი მიზნების ჩამოყალიბება, საკუთარი შესაძლებლობების და სწავლის შედეგების შეფასება. შეუძლია დაგეგმოს მაგისტრატურაზე შემდგომი სწავლის აუცილებლობა.</p> <p>ღირებულებები</p> <p>მომხმარებლის უსაფრთხოების და უფლებების დაცვის უნარი. ფარმაცევტულ პრაქტიკაში სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი. გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ფუძნდება.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება,</p>

	<p>პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნითი შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>
დასაქმების სფეროები	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ფარმაცევტულ საწარმოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, აფთიაქებში.
სწავლის გაგრძელების საშუალება	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანდაცვის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.</p> <p>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.</p>
პროგრამის მატერიალურ–	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე

<p>ტექნიკური ბაზა</p>	<p>ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; • სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
<p>პროგრამის ადამიანური რესურსი</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)</p>

პროგრამის სტრუქტურა

<p>ფარმაციის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:</p> <p>საუნივერსიტეტო საგნებს 30 კრედიტის ოდენობით ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 189 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ოთხი მოდულისა (ქიმიის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაციის ორგანიზაციის) და ცალკეული კურსების სახით ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებს 11 კრედიტი (თავისუფალი კრედიტები) 10 კრედიტი</p>

<p>საუნივერსიტეტო საგნების 30 კრედიტი სავალდებულოა ყველასთვის</p>	<p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესსა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.</p> <p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენისა და აკადემიური წერის სწავლებას. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპონენტის უნარისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობა, წერითი და ზეპირი კომპონენტის უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამოუმუშავება. აღნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლებასა და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდენტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისას არა აქვთ შეზღუდვა ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, ჩარიცხვის შემთხვევაში იყოფიან ჯგუფებად უცხო ენის ცოდნის დონეების მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ სათანადო საფეხურიდან.</p>
<p>ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 189 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ოთხი მოდულისა (ქიმიის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაციის ორგანიზაციის) და ცალკეული კურსების სახით</p>	<p>ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 189 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ოთხი მოდულისა (ქიმიის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაციის ორგანიზაციის) და ცალკეული კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნულს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა.</p>
<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 11 კრედიტი</p>	<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 11 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო მოდულების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი კურსების სია წარმოდგენილია სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და დასკვნის უნარის გამოუმუშავებისთვის საჭირო დამატებითი კომპეტენციებისთვის საჭირო სასწავლო კურსების სახით, რომლებიც მიზანშეწონილია სტუდენტმა გაიაროს ან ერთი რომელიმე მოდულის შესავსებად, ან სამივე მოდულის ფარგლებში თითო სასწავლო კურსის სახით. სასწავლო კურსები სატანადო კრედიტის ფარგლებში აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შეწყვეტის საშუალებას</p>
<p>თავისუფალი კრედიტი (10 კრედიტი)</p>	<p>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველი სასწავლო კურსების ათვისების, როგორც ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასევე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსებიდან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთაგან სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები 10 კრედიტის ფარგლებში.</p> <p>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ეძლევა საშუალება ეღიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს.</p>

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
საფაკულტეტო სავალდებულო კურსი													
			საუნივერსიტეტო საგნები										
1.			აკადემიური წერა		5								
2.	SUB.1		საინფორმაციო ტექნოლოგიები		5								
3.	SUB.2		უცხო ენა										
4.	SUB.3		უცხო ენა	5									
5.	SUB.3.1		უცხო ენა		5								
6.	SUB.3.2		უცხო ენა			5							
7.	SUB.3.3		უცხო ენა				5						
8.	SUB.3.4		უცხო ენა					5					
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები													
8.	SPB0903.1		ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგია	5									
8.	SPB0903.2		ბოტანიკა (1)	5									
	SPB0903.3		ბოტანიკა (2)		4								
9.	SPB0903.4		ჰისტოლოგია, ციტოლოგია	5									
10.	SPB0903.5		ადამიანის ნორმალური ანატომია	5									
11.	SPB0903.6		ადამიანის ფიზიოლოგია		6								
12.	SPB0903.8		სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით			4							
	SPB0903.7		მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია იმუნოლოგია,				6						

¹ ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

⁴ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
13.	SPB0903.10		ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები				5						
14.	SPB0903.11		ქიმია										
15.	SPB0903.11.1		ზოგადი ქიმია	5									
16.	SPB0903.11.2		არაორგანული ქიმია		5								
	SPB0903.11.3		ორგანული ქიმია (1)			4							
17.	SPB0903.11.4		ანალიზური ქიმია (1)			5							
18.	SPB0903.11.5		ფიზიკური და კოლოიდური ქიმია			6							
19.	SPB0903.11.6		ორგანული ქიმია (2)				4						
20.	SPB0903.11.7		ანალიზური ქიმია (2)				4						
21.	SPB0903.22		პათოლოგიური ფიზიოლოგია				4						
22.	SPB0903.28		ზოგადი ჰიგიენა			2							
23.	SPB0903.12		ბიოქიმია						6				
24.	SPB0903.13		ტოქსიკოლოგიური ქიმია					5					
25.	SPB0903.14		წამალთა ტექნოლოგია										
26.	SPB0903.14.1		სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია					5					
27.	SPB0903.14.2		წამლის სამრეწველო ტექნოლოგია						5				
28.	SPB0903.14.3		გალენური პრეპარატების ტექნოლოგია							5			
29.	SPB0903.14.4		პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში								5		
30.	SPB0903.15		ფარმაცევტული ქიმია										
	SPB0903.15.1		არაორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმია					5					
	SPB0903.15.2		ორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმია						5				
	SPB0903.15.3		ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია							5			
	SPB0903.16		ფარმაცოგნოზია (1)					5					
	SPB0903.17		ფარმაცოგნოზია (2)						5				

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	SPB0903.18		ფარმაკოლოგია						5				
	SPB0903.19		ფარმაკოთერაპია							5			
	SPB0903.20		ფარმაკოკონტეიკა							5			
	SPB0903.21		ფარმაციის ორგანიზაცია										
	SPB0903.21.1		ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობა					5					
	SPB0903.21.2		სოციალური ფარმაცია								5		
	SPB0903.21.3		ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა						4				
	SPB0903.21.4		ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი							5			
	SPB0903.26		ეკოლოგიის საფუძვლები								5		
	SPB0903.25		კლინიკური ფარმაცია								5		
			პროფესიული პრაქტიკა								5		
			<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>			4	2				5		
	SPB0903.9		Mmedicinis და farmaciis historia										
	SPB0903.23		პათოლოგიური ანატომია										
	SPB0903.24		პირველადი სამედიცინო დახმარება										
	SPB0903.32		სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაცია										
	SPB0903.29		კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგია										
	SPB0903.30		ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები										
	SPB0903.31		ფიტოთერაპია										
			თავისუფალი კრედიტები					5		5			
სემესტრში				30	30	30	30	30	30	30	30		

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			წელიწადში	60		60		60		60			

სწავლის შედეგების რუკა

#	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	SUB.1	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
2	SUB.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
	SUB.3	უცხო ენა	X	X		X	X	X
3	SUB.3.1	უცხო ენა	X	X		X	X	X
4	SUB.3.2	უცხო ენა	X	X		X	X	X
5	SUB.3.3	უცხო ენა	X	X		X	X	X
6	SUB.3.4	უცხო ენა	X	X		X	X	X
		<i>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები</i>						
7	SPB0903.1	ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგია	X	X				
8.	SPB0903.2	ბოტანიკა (1)	X	X				
	SPB0903.3	ბოტანიკა (2)	X	X				
9.	SPB0903.4	ჰისტოლოგია, ციტოლოგია	X	X	X			
10.	SPB0903.5	ადამიანის ნორმალური ანატომია	X	X				
11.	SPB0903.6	ადამიანის ფიზიოლოგია	X	X				
12.	SPB0903.7	მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია	X	X	X			
	SPB0903.8	სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით	X	X				
13.	SPB0903.10	ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები	X	X	X			
14.	SPB0903.11	ქიმიკა						
15.	SPB0903.11.1	ზოგადი ქიმიკა	X	X				
16.	SPB0903.11.2	არაორგანული ქიმიკა	X	X				
	SPB0903.11.3	ორგანული ქიმიკა (1)	X	X				
17.	SPB0903.11.4	ანალიზური ქიმიკა (1)	X	X				
18.	SPB0903.11.5	ფიზიკური და კოლოიდური ქიმიკა	X	X				
19.	SPB0903.11.6	ორგანული ქიმიკა (2)	X	X				
20.	SPB0903.11.7	ანალიზური ქიმიკა (2)	X	X	X			
21.	SPB0903.12	ბიოქიმიკა	X	X				
22.	SPB0903.13	ტოქსიკოლოგიური ქიმიკა	X	X	X			X
23.	SPB0903.14	წამალთა ტექნოლოგია						
24.	SPB0903.14.1	სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია	X	X				
25.	SPB0903.14.2	წამლის სამრეწველო ტექნოლოგია	X	X				
26.	SPB0903.14.3	გალენური პრეპარატების ტექნოლოგია	X	X				
27.	SPB0903.14.4	პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში	X	X				
28.	SPB0903.15	ფარმაცევტული ქიმიკა						
29.	SPB0903.15.1	არაორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმიკა	X	X				
30.	SPB0903.15.2	ორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმიკა	X	X				
	SPB0903.15.3	ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიკა	X	X				
	SPB0903.16	ფარმაკოგნოზია (1)	X	X	X			

SPB0903.17	ფარმაკოგნოზია (2)	X	X	X			
SPB0903.18	ფარმაკოლოგია	X	X	X			
SPB0903.19	ფარმაკოთერაპია	X	X				
SPB0903.20	ფარმაკოკინეტიკა	X	X				
SPB0903.21	ფარმაციის ორგანიზაცია						
SPB0903.21.1	ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობა	X	X				
SPB0903.21.2	სოციალური ფარმაცია	X	X				
SPB0903.21.3	ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა	X	X		X		X
SPB0903.21.4	ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი	X	X	X	X		
SPB0903.22	პათოლოგიური ფიზიოლოგია	X	X				
SPB0903.28	ზოგადი ჰიგიენა	X	X				X
	პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
	<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>						
SPB0903.23	პათოლოგიური ანატომია	X	X				
SPB0903.24	პირველადი სამედიცინო დახმარება	X	X				
SPB0903.25	კლინიკური ფარმაცია	X	X				
SPB0903.26	ეკოლოგიის საფუძვლები	X	X	X			X
SPB0903.27	სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში	X	X				
SPB0903.29	კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგია	X	X				
SPB0903.30	ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	X	X				X
SPB0903.31	ფიტოთერაპია	X	X				
SPB0903.9	მედიცინის და ფარმაციის ისტორია	X					
SPB0903.32	სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაცია	X	X				
	თავისუფალი არჩევითი კურსები						

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი გვარი	კვალიფიკაცია
აკადემიური წერა	ასმათ შონია	. ფილოლოგიის დოქტორი
საინფორმაციო ტექნოლოგიები	რევაზ ხაინდრავა	ეკონომისტი. ეკონომიკის დოქტორი
უცხო ენა	თამარიკო ლუკავა	მთარგმნელ რეფერენტი(ინგლ.ენა)ბაკალავრი
ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგია	ჟუჟუნა ვაჩნაძე	ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე
ბოტანიკა (1)	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი.
ბოტანიკა (2)	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი.
ჰისტოლოგია, ციტოლოგია	ნანა გელენავა	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი. ბიოლოგიის დოქტორი
ადამიანის ნორმალური ანატომია	ვახტანგ კუკავა	ექიმი
ადამიანის ფიზიოლოგია	ვახტანგ კუკავა	ექიმი
მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი.
სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი.
ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
ზოგადი ქიმია	ბადრი ნანეიშვილი	ქიმიის დოქტორი
არაორგანული ქიმია	ბადრი ნანეიშვილი	ქიმიის დოქტორი
ორგანული ქიმია (1)	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
ანალიზური ქიმია (1)	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	ბადრი ნანეიშვილი	ქიმიის დოქტორი
ორგანული ქიმია (2)	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
ანალიზური ქიმია (2)	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
ბიოქიმია	ნანა გელენავა	ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი. ბიოლოგიის დოქტორი
ტოქსიკოლოგიური ქიმია	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი
სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
წამლის სამრეწველო ტექნოლოგია	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
გალენური პრეპარატების ტექნოლოგია	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
არაორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმია	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმია	ლალი კინწურაშვილი	ბიოლოგიის დოქტორი.
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაკოგნოზია (1)	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაკოგნოზია (2)	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაკოლოგია	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაკოთერაპია	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაკოკინეტიკა	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობა	ლალი კინწურაშვილი	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
სოციალური ფარმაცია	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორ..ფარმაციის დოქტორი
ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი	ზურაბ ქემოკლიძე	პროფიზორი.ფარმაციის დოქტორი
პათოლოგიური ფიზიოლოგია	ვახტანგ კუკავა	ექიმი
პათოლოგიური ანატომია	ვახტანგ კუკავა	ექიმი

პირველადი სამედიცინო დახმარება	ვახტანგ კუკავა	ექიმი
კლინიკური ფარმაცია	ლალი კინწურაშვილი	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი
ეკოლოგიის საფუძვლები	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი
სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი.
ზოგადი ჰიგიენა	ვახტანგ კუკავა	ექიმი
კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგია	ლალი კინწურაშვილი	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი
ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	ზურაბ ქემოკლიძე	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი
ფიტოთერაპია	ლალი კინწურაშვილი	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი
მედიცინის და ფარმაციის ისტორია	ლალი კინწურაშვილი	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი
სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაცია	ლალი კინწურაშვილი	პროვიზორი.ფარმაციის დოქტორი